ოქმი №23

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომისა

აბაშა, 2019 წლის 9 ივლისი

ოქმი №23

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომისა

აბაშა, 2019 წლის 9 ივლისი

ბიუროს სხდომას თავმჯდომარეობდა მ. კვიტაშვილი.

სხდომას ესწრებოდნენ:

ბიუროს წევრები: გ. ხოშტარია, გ. კუპრავა, გ. მიგინეიშვილი, ტ. ხოშტარია, გ. კუცია, გ. კაჭარავა, ე. ნოდია, ზ. ალასანია,

საკრებულოს აპარატის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი-აპარატის უფროსი გ. ხურცილავა, საკრებულოს აპარატის იურიდიულ საკითხთა განყოფილების მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ნათია კუპრეიშვილი.

დღის წესრიგი:

1. პეტიცია - საზოგადოებრივი ბიბლიოთეკის ინფრასტრუქტურის მოწყობა და წიგნების ფონდის შევსების შესახებ.

   მომხს: მ. კვიტაშვილი

2. პეტიცია - ქ. აბაშის ტერიტორიაზე შენობა-ნაგებობის გამოყოფა და მასში კინო-დარბაზის მოწყობის შესახებ.

   მომხს: მ. კვიტაშვილი

1

მოისმინეს:

პეტიცია - საზოგადოებრივი ბიბლიოთეკის ინფრასტრუქტურის მოწყობა და წიგნების ფონდის შევსების შესახებ.

მომხს: მ. კვიტაშვილი

მომხსენებელმა მ. კვიტაშვილმა ბიუროს წევრებს გააცნო აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოში 2019 წლის 28 ივნისს წარმოდგენილი პეტიცია „საზოგადოებრივი ბიბლიოთეკის ინფრასტრუქტურის მოწყობა და წიგნების ფონდის შევსების შესახებ", რომლითაც აბაშის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ამომრჩევლები ითხოვენ აბაშის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ბიბლიოთეკის მოწესრიგებას და წიგნების ფონდის განახლებას და საკითხის საკრებულოს სხდომაზე განხილვასა და გადაწყვეტას. მომხსენებელმა განმარტა, რომ პეტიციით გათვალისწინებული საკითხის გადაწყვეტა მიეკუთვნება მუნიციპალიტეტის მერის უფლებამოსილებას, რის გამოც საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 86-ე მუხლის მე-11 პუნქტის საფუძველზე, აღნიშნული პეტიცია უფლებამოსილების შესაბამისად, განსახილველად უნდა გადაეგზავნოს აბაშის მუნიციპალიტეტის მერს.

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

საკითხი – „საზოგადოებრივი ბიბლიოთეკის ინფრასტრუქტურის მოწყობა და წიგნების ფონდის შევსების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 86-ე მუხლის მე-11 პუნქტის საფუძველზე უფლებამოსილების შესაბამისად განსახილველად გადაეგზავნოს აბაშის მუნიციპალიტეტის მერს.

გადაწყვეტილება მიღებულ იქნა ერთხმად.

2

მოისმინეს:

პეტიცია - ქ. აბაშის ტერიტორიაზე შენობა-ნაგებობის გამოყოფა და მასში კინო-დარბაზის მოწყობის შესახებ.

მომხს: მ. კვიტაშვილი

მომხსენებელმა მ. კვიტაშვილმა ბიუროს წევრებს გააცნო აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოში 2019 წლის 28 ივნისს წარმოდგენილი პეტიცია „ქ. აბაშის ტერიტორიაზე შენობა-ნაგებობის გამოყოფა და მასში კინო-დარბაზის მოწყობის შესახებ", რომლითაც აბაშის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ამომრჩევლები ითხოვენ აბაშის მუნიციპალიტეტში, კერძოდ, ქ. აბაშის მიმდებარე ტერიტორიაზე შენობა-ნაგებობის გამოყოფას და კინო-დარბაზის ინფრასტრუქტურის მოწყობის საკითხის საკრებულოს სხდომაზე განხილვასა და გადაწყვეტას. მომხსენებელმა განმარტა, რომ პეტიციით გათვალისწინებული საკითხის გადაწყვეტა მიეკუთვნება მუნიციპალიტეტის მერის უფლებამოსილებას, რის გამოც საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 86-ე მუხლის მე-11 პუნქტის საფუძველზე, აღნიშნული პეტიცია უფლებამოსილების შესაბამისად, განსახილველად უნდა გადაეგზავნოს აბაშის მუნიციპალიტეტის მერს.

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

საკითხი – „ქ. აბაშის ტერიტორიაზე შენობა-ნაგებობის გამოყოფა და მასში კინო-დარბაზის მოწყობის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 86-ე მუხლის მე-11 პუნქტის საფუძველზე უფლებამოსილების შესაბამისად განსახილველად გადაეგზავნოს აბაშის მუნიციპალიტეტის მერს.

გადაწყვეტილება მიღებულ იქნა ერთხმად.

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს

სხდომის თავმჯდომარე: მ. კვიტაშვილი